## ხელშეკრულება № 22

## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თორტიზა 22.12. .2017 წ.

ერთის მხრივ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარეხი იოსებიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს"2+1 (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო ნივთები (CPV:30100000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

### მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 26, 00(ოცდაექვსი ლარი და ნული თეთრი )

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

### მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტითან/და ანგარიშფაქტურით.

3.2.მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად,მიმწოდებელი ვალდებულია,წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ)გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ)ამ მუხლის 5.3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომებინაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვისგადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრებული ვალდებულებები;

ბ)გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო,ახალი და სათანადოდ შეფუთული,საქონელი.

გ)შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2(ორი)სამუშაო დღისა განახორციელოსუხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკვეთა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

**მუხლი 5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლის ბუღალტერი მაია საათაშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილ შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.01%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებ საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლ ანაზღაურება.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

0.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 12(თორმეტი) იანვრის-------- ჩათვლით.

მუხლი16.სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს ტავისი უფლებები და მოვალეობები,მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით,თანხებით და რისკით.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| მიმწოდებელი: | შემსყიდველი: |
| --- | --- |
| შპს"2+1<br>ს/კ 418465529)<br>მის:ჭავჭავაძის N<br>ტელ: 598 22 20 08 | სსიპ გორის მუნიციპალიტეტის<br>სოფელ თორტიზის საჯარო<br>ს/კ 218049136<br>მის.:გორი ს.თორტიზა<br>ტელ.:577-922-563 |
| საბანკო რეკვიზიტები: თბილისი<br>ბანკი"გორი<br>ბანკის კოდი TBCBGE22<br>ა/ა NGE10TB7923036020100004 | საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"გორის ფილიალი<br>ბანკის კოდი UGEBG22<br>ა/ა GE09VT0200000004723408 |
| დირექტორი ---------------------------<br>(ხელმოწერა) ბ.ა | დირექტორი ---------------------------<br>(ხელმოწერა) ბ.ა |

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

| № | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი | საქონლის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ცარცი 10ც | 880917 5043001 | ც | 10 | 1,40 | 14,00 |
| 2 | [illegible] 60 გრამიანი | 6953229502241 | [illegible] | 3 | 3,50 | 10,50 |
| 3 | [illegible] | 8692404224025 | ც | 3 | 0,50 | 1,50 |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| 26,00 (ოცდაექვსი ლარი 00 თეთრი). | | | | | | |

სსიგორის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯარო სკოლის დირექტორი /მ.იოსებიძე/

შპს „2+1“-ის დირექტორი /კ.ბერიძე/

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0350614978 |
|---|---|---|

2 26/12/2017 — თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3 12:26:10 — დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს 2+1 | 418465529 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა | 218049136 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირების გარეშე |
|---|---|---|

7 გორი წერეთლის 23 — ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 X — ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9 — ტრანსპორტირების სახე

10 X — სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11 სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი — X

12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი — მყიდველი - 0

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ცარცი 10ც. MUNGYO (თეთრი) | 8809175043001 | ცალი | 10.0000 | 1.4000 | 14.0000 |
| 2 | საქაღალდე 60 ფაილიანი | 6953229502241 | ცალი | 3.0000 | 3.5000 | 10.5000 |
| 3 | კალამი პე-2240 PENSAN შავი | 8692404224025 | ცალი | 3.0000 | 0.5000 | 1.5000 |

13 26 - ოცდაექვსი ლარი და ნული თეთრი — მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14 — გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15 — მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16 — ხელმოწერა

17 — ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონლის ჩაბარების — თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 27/12/2017, 14:50:21